

”სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი”

გაზეთი ”ალია” – 28.02-01.03, # 14, 2013 წელი

”ალიას” ესაუბრა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა

-ბ-ნო ლადო, ახალმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. იქმნება სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, მიმდინარეობს ვაუჩერიზაცია..

-ვაუჩერიზაციას ნუ ამბობთ, თორემ ბატონ ბიძინას არ მოსწონს. ჟურნალისტმა უთხრა და ეწყინა...

-მართალია, სასოფლო-სამეურნეო ბარათი

-ბარათია და ამდენად ”ბარათიზაცია” ვთქვათ.

- დიახ, ”ბარათიზაცია”. გამოითქვა ასეთი მოსაზრება, რომ მთავრობა, სადაც კი პრობლემას აწყდება, ქმნის ფონდს და ფონდების შექმნა მთავრობის ერთგვარ ”ფონდომანიად” ჩამოყალიბდა.. ეთანხმებით ამ მოსაზრებას? სწორია პრობლემის გადაწყვეტისათვის ასეთი მიდგომა?

-ფონდების შექმნაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ეს არც დანაშაულია, არც შეცდომა. ეს ჩვეულებრივი ორგანიზაციული ფორმაა ფულის მოზიდვის და დახარჯვის. რაც შეეხება ”ფონდომანიას”, ასი დღის ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე ფონდი. ერთ-ერთია სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის ფონდთან დაკავშირებით, მართლაც არის სერიოზული კითხვები. დოკუმენტში წერია, რომ ფონდი იქმნება 700 მილიონამდე ლარის, ანუ 700 მილიონიც არ არის. ჩვენ დაპირება გვახსოვს მილიარდიანი. რატომ არ არის სამას მილიონზე მეტი დამატებული, ამაზე პასუხი არ არის. უფრო მთავარი კითხვა სხვა რამეა ჩემთვის: ამ ფულის წყარო რა არის? ბიუჯეტში ეს ფული გაწერილი არ არის. საიდან უნდა შეიქმნას ეს 700 მილიონიანი ფონდი, არ ჩანს. ეს არის ის კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა

გაგვცეს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელსაც ამ დრომდე ასეთ რამეზე მინიშნებასაც კი არ გაუკეთებია. შემდეგი კითხვაა, როგორ იხარჯება? საუბარია სასოფლო სამეურნეო ბარათებზე. ამ ბარათების შინაარსობრივი დატვირთვა ბოლომდე ნათელი არ არის. ეს უფრო სოციალური დახმარებაა სოფლად მცხოვრები ხალხისთვის, თუ მართლა, რომ საქმე უნდა აკეთონ? ასევე, არის ჩანაწერი: ვისაც აქვს 0,25 ჰექტარზე ნაკლები მიწებს 100 ლარს, არ ჩანს ეს 100 ლარი რას ეყოფა. იმ წამსვე იბადება კითხვა, თუ რაღაცას უნდა ეყოს გაუგებარია - რას, თუ ეს არის სოციალური დახმარება? ასევე 1,25 ჰექტარიდან 5 ჰექტარამდე - 640 ლარი. თუ 5 ჰექტარზე მეტია, არანაირი სასოფლო სამეურნეო ბარათი აღარ არის?

-როგორც სამინისტრომ განმარტა, სასოფლო სამეურნეო ბარათები მხოლოდ მცირემიწიან ფერმერებზე გაიცემა...

-ამიტომ ეს უფრო სოციალური პროექტია თუ სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარების ღონისძიება? შემდეგ საუბარია შეღავათიან კრედიტზე. სოფლის მეურნეობას შეღავათიანი კრედიტი სჭირდება. მაგრამ არ არის ახსნილი როგორ მოხდება საბანკო სისტემის ჩართვა, რა იქნება ბანკების მომსახურების საფასური... რის ხარჯზე გასცემს ბანკი კრედიტს. რა უნდა იყოს ბანკისთვის გარანტია? ისევ მიწა? თუ ეს 700-მილიონიანი ფონდი? სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები კარს არის მომდგარი ამ დროს კი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან დაკავშირებით უფრო მეტი კითხვაა, ვიდრე პასუხი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ მე არსად მომისმენია და არ გავცნობივარ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დეტალურ ხედვას იმასთან დაკავშირებით, რა მექანიზმით უნდა შეივსოს ეს ფონდი და შემდეგ რა მექანიზმით უნდა მოხდეს იქიდან ხარჯვა...

-სხვა ფონდებთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?

-კიდევ უფრო უარესი. სოფლის მეურნეობის მინისტრს ერთხელ ”მაესტროს” ეთერში ვუსმინე ნახევარი საათი და ცოტა უფრო განათდა სიტუაცია. რაც შეეხება სხვა ფონდებს, სამ ფონდზეა საუბარი, ამ ფონდების შესახებ ჯერ კიდევ დეკემბერში პრემიერ-მინისტრმა ბრძანა, რომ დავოსის ფორუმზე მივდივარ იქ ვაპირებ მათ პრეზენტაციას და რომ დავბრუნდები მერე აქო. მე არ ვიცი დავოსის ფორუმზე რა მოხდა, მე იქ არ ვყოფილვარ, ალბათ მოახდინა იქ პრეზენტაცია, მაგრამ, დაბრუნების შემდეგ, ამ ფონდების

პრეზენტაცია თბილისში მე არ მომისმენია. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი გულისტკივილი სჯობს აღიქვას არა იმდენად პრემიერ-მინისტრმა, არამედ იმან ვისაც ეს ფონდები ეკუთვნის - ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ფონდების შექმნა არის სწორი, ამით ხელი უნდა შეეწყოს რეალური სექტორის განვითარებას და არა ისეთ პროცესებს, რომ ინვესტორი შემოვიდეს და უძრავ ქონებაში ჩადოს ფული, რაც კეთდებოდა სააკაშვილის მთავრობის დროს. ფონდი ინსტიტუციურად სწორ სტრუქტურად მიმაჩნია, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაქვს - რატომ უნდა ჩადოს ქართველმა ან უცხოელმა ამ ფონდში ფული? როგორ იფუნქციონირებს? რა ფინანსური ინსტრუმენტებით? მთავრობას რომელი დარგები მიაჩნია პრიორიტეტულად, სადა აპირებენ, ძირითადად ამ თანხების ჩადებას? ანუ, მივადექით სტრატეგიას. რა არის ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია?

-და რა არის?

-არსებობს ასეთი რამ, მას "ბიზნესმენის ხაფანგი" ქვია. ბიზნესმენისთვის ხაფანგი არის პოლიტიკაში მოსვლა. ხაფანგი ჩნდება, როდესაც ის პოლიტიკაში მოდის და იწყებს მთავრობაში მოღვაწეობას. იმიტომ რომ მას გადმოაქვს ის მენეჯერული თვისებები, რაც ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი. ამიტომ ხშირად გაგვიგია, რომ მთავრობაში გვჭირდება მენეჯერები. ამას ამბობდა ნოლაიდელი - მე მენეჯერი ვიყავი კარგიო. გურგენიძეც ამას ამბობდა და სამწუხაროდ, დღევანდელი მთავრობაც ამას გაიძახის. ჩემი ღრმა რწმენით, მენეჯერის ადგილი მთავრობაში არ არის. მენეჯერი არ სჭირდება მთავრობას. ის სჭირდება ბიზნესს. მთავრობას სჭირდება მმართველი. მმართველსა და მენეჯერს შორის ძალიან დიდი და სერიოზული განსხვავებაა. მენეჯერი არის ბიზნესის წარმმართველი. ბიზნესის ძირითადი მიზანია კომპანიამ მიიღოს მაქსიმალური მოგება, ან კომპანიის ფასი გაიზარდოს. ქვეყნის მმართველის ხედვა სულ სხვა რამეა. მან ქვეყნის ფასი კი არ უნდა გაზარდოს, არამედ უნდა იზრუნოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, მდგრად განვითარებაზე, ანუ პრინციპული ხედვა არის სხვა. მაშასადამე, ის, თუ როგორ უნდა წარვმართო ქვეყანა, განსხვავდება იმისაგან როგორ ვმართო ბიზნესი. ამიტომ ფონდების შექმნა ეს არის ბიზნესმენის ხედვა. მაგრამ ამ ფონდების იქით რა ხდება ქვეყნისათვის ეს უნდა თქვას უკვე ეკონომისტმა. ამიტომ ამაზე პასუხი უნდა ვთხოვოთ ეკონომიკური

განვითარების სამინისტროს, ეს მისი ფუნქციაა. სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი სამინისტრო, დღევანდელი მდგომარეობით, ეს სამინისტროა. ეს არც სამინისტროსთვისაა კარგი და არც ქვეყნისთვის.

- ბიზნესმენი ივანიშვილი "ხაფანგშია"?

- მას ეს საფრთხე ემუქრება. სწორედ ამიტომ ვთავაზობ კიდევ ერთხელ "ალიას" საშუალებით მან შექმნას ეკონომიკური საბჭო და ცოტა სხვანაირად შეხედოს ქვეყანას. ეს ხაფანგი პოლიტიკაში მოსული ბიზნესმენისთვის მართლა სერიოზული პრობლემაა.

- სადაზღვევო ფონდების შექმნა და ასევე სახელმწიფო დაზღვევა, ხომ არ დააზარალებს კერძო სადაზღვევო ბიზნესს?

-ეს დამოკიდებულია, როგორი იქნება სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტი. რამდენად იძულებულს გახდის კერძო სადაზღვევო ბიზნეს აუცილებლად ჩაერთონ და მათ არ ჰქონდეთ არჩევანი. მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, ეს ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა. მან უნდა ახსნას ეს ყველაფერი. სადაზღვევო ბიზნესში ძალიან ბევრი მცდარი სტრუქტურები შეიქმნა, როდესაც ერთი კომპანია იწყებდა ფარმაცევტულ ბიზნესს, მერე ქმნიდა სადაზღვევოს, კლინიკას და ა.შ. ამან შექმნა ჩაკეტილი წრე...

-როგორც ვიცი, მათ წინა ხელისუფლება აიძულებდა..

-შეიძლება ვიღაცას აიძულებდნენ, ვიღაცა სიამოვნებითაც აკეთებდა ამას. ეს როგორი რამეა იცით? თუ სექსი ცალმხრივია გაუპატიურებაა და თუ ორმხრივი მაშინ ყველა ნასიამოვნებია. ამიტომ მე ვერ ვიტყვი მთავრობასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის "გაუპატიურება" იყო თუ ორმხრივი სიამოვნება. არც ერთია გამორიცხული და არც - მეორე.

-დაპირება ელექტროენერჯის, გაზისა და ნავთობპროდუქტების გაიაფების შესახებაც, დაპირებად დარჩა..

-ნავთობპროდუქტებზე გარკვეული გაიაფება მოხდა. პირადად იმ ბენზინს, რომელსაც მე ვასხამ 10-თეთრიანი გაიაფებაა. ისე კი,სანამ არ ამოქმედდება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომ მართლაც კონკურენცია იყოს ძნელია ტარიფებზე საუბარი. თუ კონკურენცია იქნება ნავთობპროდუქტების ბაზარზე, კონკურენციას ყოველთვის მოაქვს გარკვეულ დონეზე გაიაფება. თან უნდა

გვახსოვდეს, რომ ჩვენ ნავთობპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანა არ ვართ, ამიტომ საერთაშორისო ბაზრის ფასებზე ვართ დამოკიდებული. რაც შეეხება ელექტროენერჯისა და გაზის ტარიფებს, "ქართული ოცნების" დანაპირები დაუსაბუთებელი იყო.

-ეს პრემიერმაც აღიარა, გადაჭარბებული იყო.

-მან სხვა რამის გამო აღიარა. მე სულ სხვა რამე ვგულისხმობ. მთავრობისა და პარლამენტის საქმე არ არის ტარიფები. ტარიფებს განსაზღვრავს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია. რა შუაშია ენერჯეტიკის მინისტრი ტარიფებთან. თუ ენერჯეტიკის მინისტრი ერევა ტარიფის დადგენაში, ე.ი. ირღვევა დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის შესახებ კანონი, რაც თავისთავად არ არის კარგი. მე ამას ასე ვუყურებ და ასე ველოდი, თუმცა ასე არ გაკეთდა. აი როგორ: მთავრობას უნდა მოემზადებინა ცვლილებები მარეგულირებელი კომისიის შესახებ კანონში, შეეტანა პარლამენტში და იქ ემსჯელათ. ისეთი ცვლილებები უნდა ყოფილიყო, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა შუამავალ რგოლებს. ეს კი აისახებოდა ტარიფზე. მეორე: გამჭვირვალე უნდა იყოს ტარიფის დადგენის პროცედურა, ტარიფის გათვლის მეთოდისა უნდა იყოს გამარტივებული. გათვლილი ტარიფი უნდა იყოს საჯარო. ეს იყო ჩემი ხედვა და რჩევა. სახელმწიფოებრივი ხედვა მთავრობისა და პარლამენტის ეს არის. ხოლო მთავრობა წავიდა სულ სხვა გზით. ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ ჩვენი შეხედულება მცდარი იყო. იმას ის არ უგულისხმია, რასაც მე ვამბობ. მან იგულისხმა, რომ გაზის თუ ელექტროენერჯის მომწოდებლებისგან რამდენად შეიძლებოდა ფასის დაწევა. ეს ერთ-ერთი რესურსია მთავრობის მხრიდან, მაგრამ ტარიფი ცოტა სხვა რამ არის და ამას განსაზღვრავს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია.

-ბიზნესისთვის რენესანსის ხანა მართლა დადგა?

- თავად ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ 2013 და 2014 წელს სირთულეები იქნება. მე როგორც ვხვდები რენესანს 2016-ში ელოდება. მაგრამ ერთი რამ აშკარაა. ჩემამდე რა ინფორმაციაც მოდის, ამის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ ბიზნესი ნაკლებად განიცდის ზეწოლას.

-მაგრამ არც აქტიურობით გამოირჩევა

-ახლა ბიზნეს ვერ მოვთხოვთ განსაკუთრებულ აქტიურობას და რატომ. ქვეყანაში არის განუსაზღვრელი სიტუაცია - იქნება აპრილის ბოლოს, ან მაისში არჩევნები დანიშნული თუ არა. "ქართული ოცნება" გვპირდებოდა, რომ პარლამენტში 120 ხმას გააკონტროლებდა და კონსტიტუციაში ცვლილებას შეიტანდა, რითაც სააკაშვილს დაეკარგებოდა მადა ვადამდელი არჩევნების... გაკეთდა? ვერა!. სამწუხაროდ, ბაქიობა უფრო გამოვიდა, ვიდრე რეალობა. გაუგებარია, რატომ არ ჩაუშვეს ქუთაისში პრეზიდენტი. ამან გამოიწვია კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა და საკმაოდ დიდ მინუსი ჩაიწერა დღევანდელმა მთავრობამ საერთაშორისო დონეზე. ამას ემატება რაც ხდება დღეს სასამართლო სისტემაში, რომელიც კონტროლირებადია ნაციონალური მოძრაობის მიერ. ამას ემატება ისიც, რომ კონსტიტუციის მიხედვით, შემოდგომაზე ისედაც გვაქვს არჩევნები. როცა ასეთი მდგომარეობაა რა აქტიურობა უნდა მოვთხოვთ ბიზნესს? კაცმა არ იცის რა იქნება. თუ დაინიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ობიექტურად, ნაციონალებს სერიოზული მხარდამჭერები ქვეყანაში არ ჰყავთ. მაგრამ თუ ამ კონსტიტუციის მოდელით დაინიშნა, რომელსაც ვერ ცვლის "ქართული ოცნება", გამოვა რომ სააკაშვილი გადააყენებს პარლამენტს დანიშნავს თავის მთავრობას და არჩევნებს იმას ჩაატარებინებს. ანუ წავა გაყალბება. ამ გაყალბებას, ყველზე რეალური სცენარია, მოჰყვება საზოგადოებში დაპირისპირება. სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად რა უნდა მოხდეს? სააკაშვილი გამოაცხადებს საგანგებო მდგომარეობას, შეინარჩუნებს თავის სტატუსკვოს. ეს არის ჩვენი სავარაუდო მომავალი... ეს საფრთხე, სამწუხაროდ რეალურია. აქედან, გამომდინარე რა მოვთხოვთ ბიზნესს?

თემურ ჭუმბურიძე